მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტი	პერიოდის გეგმა	პერიოდის შესრულება
I. შემოსავლები	**49,553.1**	**34,716.7**	**40,920.0**
გადასახადები	27,274.7	20,845.5	22,435.2
გრანტები	16,470.4	8,731.2	8,731.2
სხვა შემოსავლები	5,808.0	5,140.0	9,753.7
II. ხარჯები	**41,519.6**	**33,790.6**	**26,005.6**
შრომის ანაზღაურება	5,712.3	4,205.7	3,674.0
საქონელი და მომსახურება	11,290.0	9,038.1	5,714.8
პროცენტი	65.0	13.9	13.9
სუბსიდიები	18,038.6	15,104.1	13,070.7
გრანტები	142.0	108.0	108.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,269.1	1,081.7	890.8
სხვა ხარჯები	5,002.6	4,239.2	2,533.4
III. საოპერაციო სალდო	**8,033.5**	**926.1**	**14,914.4**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**43,925.0**	**36,787.2**	**3,319.0**
ზრდა	44,855.0	37,717.2	19,795.8
კლება	930.0	930.0	16,476.8
V. მთლიანი სალდო	**-35,891.5**	**-35,861.1**	**11,595.4**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-36,018.5**	**-35,924.0**	**11,532.6**
ზრდა	**0.0**	**0.0**	**11,532.6**
კლება	**36,018.5**	**35,924.0**	**0.0**
VII. ვალდებულებების ცვლილება	**-127.1**	**-62.9**	**-62.9**
კლება	**127.1**	**62.9**	**62.9**
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა	პერიოდის გეგმა	პერიოდის შესრულება
შემოსულობები	**50,483.1**	**35,646.7**	**57,396.8**
შემოსავლები	49,553.1	34,716.7	40,920.0
არაფინანსური აქტივების კლება	930.0	930.0	16,476.8
გადასახდელები	**86,501.6**	**71,570.7**	**45,864.2**
ხარჯები	41,519.6	33,790.6	26,005.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,855.0	37,717.2	19,795.8
ვალდებულებების კლება	127.1	62.9	62.9
ნაშთის ცვლილება	**-36,018.5**	**-35,924.0**	**11,532.6**

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 35 646,7 ათასი ლარით - ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 57 396,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 161 % .

შემოსავლები

2024 წლის 9 თვეში ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა - 34716,7 ათასი ლარი - ფაქტობრივად 40 920,0 ათასი ლარით შესრულდა, ანუ გეგმის 118 % და მთლიანი შემოსულობების 71,3 % შეადგინა (დანართი 1).

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 22 435,2 ათასი ლარი, შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლის - 20 845,5 ათასი ლარის - 108%. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (19 178,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3 256,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 12 737,9 ათასი ლარი: საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 12 532,6 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 4,8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან - 92,5 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან -

67,7 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან - 40,2 ათასი ლარი;

ქონების გადასახადიდან წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (11 695,6 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1 042,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2023 წლის 9 თვის საკასო შესრულება 11 303,2 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 9 697,2 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7 482,7 ათასი ლარი მიმდინარე პერიოდში 2 214,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 8 731,2 ათასი ლარი, მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2402 28.12.2023 წ.) - 6 548,9 ათასი ლარი (დაფინანსდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნიჩბისი, ლისი, არაშენდა, მუხრანი, მისაქციელი, წეროვანი, ძველი ქანდა, საგურამო, ახალუბანი, ნავაზი, წილკან-წეროვნის დამაკავშირებელი გზა);

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2401 28.12.2023წ) - 400,0 ათასი ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N2400 28.12.2023 წ.) - 981,1 ათასი ლარი (მასალების შეძენა 2023 წლის სექტემბერში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად, სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების (მთავრობის განკარგულება N1025 23.07.2024წ.) - 142,4 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი - 643,6 ათასი ლარი, მათ შორის: ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 202,7 ათასი ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N56 15.01.24წ.) – 440,9 ათასი ლარი;

საერთაშორისო გრანტი (მთავრობის განკარგულება N621 30.04.2024წ) - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან - „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს ფარგლებში გამოყოფილი გრანტი - 15,1 ათასი ლარი.

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლებისათვის** განსაზღვრული 5 140,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 9 753,7 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 190%, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 8 188,7 ათასი ლარი - შედარებით 1 565,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად მოდის პროცენტებზე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის

მოსაკრებელზე, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავალზე და სანებართვო მოსაკრებელზე მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 976,3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2 579,7 ათასი ლარი) შედარებით 396,6 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 1 851,4 ათასი ლარი, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 135,8 ათასი ლარი) შედარებით 715,6 ათასი ლარით მეტი) მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მობილიზებულია - 1 372,7 ათასი ლარი, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 483,9 ათასი ლარით მეტი), ხოლო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 478,6 ათასი ლარი (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 231,6 ათასი ლარით მეტი).

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 1 651,8 ათასი ლარი, გეგმის - 1 200,0 ათასი ლარის - 138%, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 1 123,3 ათასი ლარი, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 627,0 ათასი ლარი - შედარებით 496,3 ათასი ლარით მეტი), სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 16,8 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან - 511,8 ათასი ლარი.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 50,1 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 42,1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 8,0 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 133,7 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის - 2200,0 ათასი ლარი - 142% (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 2 909,6 ათასი ლარი - შედარებით - 224,1 ათასი ლარით მეტი). მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 2 581,5 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 100,8 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ჯარიმები - 451,4 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 90,3 ათასი ლარი, მათ შორის: ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 34,2 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 1,2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 17,8 ათასი ლარი, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 33,0 ათასი ლარი, ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 4,1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2024 წლის 9 თვეში ჩარიცხულია 16 476,8 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 3 512,5 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 181,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 12 782,5 ათასი ლარი (მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან - 10 277,9 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 2 504,6 ათასი ლარი).

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის 9 თვეში გადასახდელების (დანართი 2) დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 71 570,7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 45 864,2 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 64,1%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 33 790,6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 26 005,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 77,0%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37 717,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 19 795,8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 52,5%.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 62,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 62,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 100%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 205,7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 674,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 87,4%.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 9 038,1 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 714,8 ათასი ლარი, გეგმის 63,2%.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 13,9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 13,9 ათასი ლარი, გეგმის 100%.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 15 104,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13 070,7 ათასი ლარი, გეგმის 86,5%.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 430,0 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 280,8 ათასი ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 58,1 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 1 898,8 ათასი ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 175,2 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 5 808,2 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 1 466,1 ათასი ლარი;
- კულტურის ღონისძიებები - 1 563,7 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 238,1 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 151,7 ათასი ლარი;

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 108,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 108,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%.

ამ მუხლით დაფინანსდა:

- სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი"-ს კომუნალური ხარჯები - 33,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი" - 75,0 ათასი ლარი;

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 081,7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 890,8 ათასი ლარი, გეგმის 82,4%.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 708,6 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 20,0 ათასი ლარი;
- ერთჯერადი სოციალური დახმარება - 94,6 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 1,0 ათასი ლარი;
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება - 40,6 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 239,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 533,4 ათასი ლარის მოცულობით, გეგმის 59,8%.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 67,8 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 74,8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 334,7 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარების ღონისძიებები - 799,3 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება - 448,1 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობის ღონისძიებები - 45,5 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები - 763,2 ათასი ლარი;

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება (დანართი 3):

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 5 909,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (7 524,8 ლარი) 78,5% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 12,9 %.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 16 327,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (28 326,4 ათასი ლარი) 57,6% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 35,7 %.

გარემოს დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 396,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (2 988,9 ათასი ლარი) 80,2% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 5,2 %.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 7 475,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (15 116,5 ათასი ლარი) 48,5% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 16,3 %.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 240,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (255,8 ათასი ლარი) 93,9% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 0,5 %.

დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 5 070,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (6 874,2 ათასი ლარი) 73,8% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 11,1 %.

განათლების სფეროში საკასო შესრულებამ კი - 6 596,2 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (7 625,7 ათასი ლარი) 86,5% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 14,4%.

სოციალური დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 779,8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის (2 495,5 ათასი ლარი) 71,3% და მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (45 795,4 ათასი ლარი) 3,9%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ✓ **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 23 803,2 ათასი ლარით, გეგმის (43,742,9 ათასი ლარი) 54,4%;
- ✓ **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 396,6 ათასი ლარით, გეგმის (2 988,2 ათასი ლარი) 80,2%;
- ✓ **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 596,2 ათასი ლარით, გეგმის (7 625,7 ათასი ლარი) 86,5%;
- ✓ **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 5 076,0 ათასი ლარით, გეგმის (6 874,2 ათასი ლარი) 73,8%;
- ✓ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 019,9 ათასი ლარით, გეგმის (2 751,3 ათასი ლარი) 73,4%;
- ✓ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 5 972,3 ათასი ლარით, გეგმის (7 587,7 ათასი ლარი) 78,7%.

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 11 174,2 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 20 197,4 ათასი ლარის - 55,3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება - დაფინანსებულია 220,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 316,6 ათასი ლარის 69,7%. საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქალაქ მცხეთაში და სოფლებში: ქსანი, ლისი, წილკანი) დაზიანებული საავტომობილო გზების ორმოული შეკეთება; სოფ. ლელუბანში დაზიანებული საავტომობილო ხიდის შეკეთება; გზების გაწმენდა სოფლებში: თეზამი, კევლიანი, ლელუბანი.

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება - დაფინანსებულია 9 158,8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 5 886,3 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის 16 006,7 ათასი ლარის 57,2%.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: სოფ. მუხათგვერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ); სოფ. არაშენდაში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. ძველ

ქანდაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ), სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ), სოფ. საგურამოში შიდა საუბნო გზის (33-ე და 36-ე ქუჩა) ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. მუხათწყაროში საყრდენი კედლის (ს.კ. 72.16.06.008) მოწყობა; სოფ. ნიჩბისში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (მე-8 და მე-11 მონაკვეთი, რგფ); სოფ. წეროვანში, იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ; ახალუბანში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. ვაზიანში შიდა საუბნო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა, სოფ. ლისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ); სოფ. მუხათწყაროში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების (N5, N6, N7, N8) ასფალტბეტონის საფარის მოწყობა(რგფ), სოფ. საგურამოში და ზაქაროში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნავაზში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა (რგფ).

მიმდინარეობს და გრძელდება შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა სოფლებში: ქსანი, მუხრანი, გალავანი, ზაქარო, ჩარდახი, წეროვანი (კვლევითი ინსტიტუტის დასახლება), ძალისი, ძეგვი, ჯიღაურა, ნავდარაანთკარი, ნატახტარი, ბიწმენდი, ქსოვრისი, ციხისძირი, ახალუბანი; სოფელ წილკნის და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობა .

02 01 03 გზების კეთილმოწყობა - დაფინანსებულია 1 794,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 3 874,1 ათასი ლარის 46,3%.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე) ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაცია(რგფ); ქ. მცხეთაში, სამხედროს ქუჩაზე საყრდენი კედლების, ტროტუარების და ბორდიურების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ქალაქის შემოსასვლელში არსებული ხიდის მიმდებარედ, მტკვარზე გადასახედი მოედნის მოწყობა; სოფ. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმამდე მისასვლელი გზის გამყოფი ზოლის კეთილმოწყობა; ქ. მცხეთაში სამხედროს და კონსტიტუციის ქუჩების, კონსტიტუციის და გორგასლის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს და გრძელდება: ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა/მონტაჟი, არსებულის შეკეთება; ქ. მცხეთაში შიდა საუბნო (ბებრის ციხესთან მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია; სოფ. აღდგომლიანთკარში მდ. შარახევზე საავტომობილო ხიდის მოწყობა.

02 02 წყლის სისტემების განვითარება დაფინანსებულია 4 440,9 ათასი ლარით, (გეგმური მაჩვენებლის - 5 663,6 ათასი ლარის - 78,4%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია 1 430,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 610,0 ათასი ლარის - 88,8%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს "წყლისა და ტრანსპორტის კომპანია".

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია მოემსახურა 59 სოფელს, სადაც განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: მუნიციპალიტეტის სოფლების დაქსელვა და არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.

მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდებოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 101 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP - ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“-ს (5 სოფელი) მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში წყლის გამანაწილებელი ქსელი გაიზარდა 100 მ - ით (სოფ. ერედაში 110 მმ დიამეტრის წყალსადენით) და შეადგინა დაახლოებით 363878 კმ, შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობაა 111 ერთეული (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი) საერთო მოცულობით 15079 ათასი კუბური მეტრი, დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობის შესწავლა, რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

საანგარიშო პერიოდში ავარიული გამოძახებების რაოდენობამ შეადგინა 189 ერთეული, რომელთაგან ფაქტობრივად ყველა აღმოიფხვრა, წყალმომარაგების ქსელზე მიერთების მოთხოვნით სამსახურს მიმართა 161 მოქალაქემ, ტექნიკური პირობა გაიცა 78 განმხცადებელზე.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 2 834,2 ათასი ლარით, (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 1 043,5 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის 3 833,4 ათასი ლარის 73,9%.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები: სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ); სოფ. შანკევანში სასმელი წყლის რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (მაღალმთიანი, განკ. N301 09.06.23წ), სოფ. შანკევანში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა, სოფ. ხეკორძში სასმელი წყლის მილსადენის მოწყობა; სოფ. ერედაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს და გრძელდება: სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები (რგფ); წყლის ტუმბოების შესყიდვა; ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის ხარჯის ანაზღაურება;

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - დაფინანსებულია 176,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 220,2 ათასი ლარის - 80,2%. საანგარიშო პერიოდში

დასრულებულია: სოფ. წინამძღვრიანთკარში ამორტიზირებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია; სოფ. ქსანში საკანალიზაციო სისტემის რემონტი; სოფ. წინამძღვრიანთკარში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

გრძელდება საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება); სოფ. ფრეზეთში იგპ დასახლებაში საკანალიზაციო წყალშემკრები აუზის მოწყობა.

02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია დაფინანსებულია 1 085,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 380,2 ათასი ლარის - 78,6%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება დაფინანსებულია 784,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 000,0 ათასი ლარის 78,5%.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია 280,8 ათასი ლარით; გეგმური მაჩვენებლის - 318,0 ათასი ლარის 88,3%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“;

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების და ქუჩების 13869 განათების წერტილის ექსპლუატაცია, მათ შორის: ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და

არქიტექტურული ძეგლების განათების 2036 წერტილის და 60 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 11833 წერტილის, 397314 მ სიგრძის ელსადენის და 206 ელგამშვები კვანძის მოვლა-პატრონობა, ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა, შეიცვალა 4896 ცალი სხვადასხვა ტიპის ნათურა, 94 ცალი ავტომატური ამომრთველი, 76 ცალი ელგამშვები მოწყობილობა, 177 ცალი ფაიფურის მასრა, 328 ცალი დროსელი, 102 ცალი ეკოსანათი და 44 ცალი პროჟექტორი, 37 ცალი ფოტორელე, 69 ცალი იგნატორი, 2197 მ სიგრძის ელსადენი და 341 მ გოფრე/მილი.

02 03 02 გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 19,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 62,2 ათასი ლარის 32,1%.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. მუხრანში გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ობიექტების კომუნიკაციების ქსელზე დაერთება;

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 600,0 ათასი ლარით (მათ შორის, ტრანსფერი 139,7 ათასი ლარი); გეგმური მაჩვენებლის - 1 977,5 ათასი ლარის - 30,3%.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: მერიის შენობაში სასაწყობე მეურნეობის მოწყობა; მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური და მიტოვებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (მთავრობის განკარგულება N1840 16.10.2023წ.).

მიმდინარეობს და გრძელდება სოფ. მუხრანში საცხოვრებელი კორპუსების სარემონტო სამუშაოები; ქ. მცხეთაში, მირიანის ქუჩაზე არსებული სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია;

02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება - დაფინანსებულია 1 862,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 2 693,5 ათასი ლარის 69,2%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: 10 ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურება, რემონტის ხარჯი, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მგზავრთა შიდა და საქალაქთაშორისო გადაყვანის მომსახურება;

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) დაფინანსებულია 517,0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 23,2 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის 1 750,8 ათასი ლარის 29,5%;

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: ქ. მცხეთა, ნარეკვავის დასახლებაში საკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა (რგფ); ქ. მცხეთაში, ღართისკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12 ა-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია; სოფ. ციხისძირში ახალი სკვერის რეაბილიტაცია ს/კ 72.10.02.104-ის მიმდებარედ (ნაგავსაყრელი);

მიმდინარეობს და გრძელდება სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადის დაფინანსება; სკვერების რეაბილიტაცია.

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია 58,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 71,3 ათასი ლარის - 81,5%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების, საყრდენი კედლების, მოსაცდელების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების და საგზაო ნიშნების ჩაბეტონება, მოაჯირების, ხის სანაგვე ურნების შეღებვა, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების, სკვერებში წყლის ონკანების შეკეთება, კანალიზაციის გაწმენდა, დაზიანებული ქვაფენილის აღდგენა.

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები დაფინანსებულია 421,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 944,2 ათასი ლარის - 44,6%;

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის საახალწლო დეკორაციების მონტაჟი/დემონტაჟი/დასაწყობება, არსებული ინვენტარის რესტავრაცია /მონტაჟი/დემონტაჟი/დასაწყობება.

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 459,5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 174,2 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 2 912,8 ათასი ლარის - 15,8%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსახლეობის უმრავლესობის მიერ განსაზღვრული მცირე ინფრაპროექტების განსახორციელებლად საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა.

02 09 პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსებულია 372,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 301,5 ათასი ლარის - 28,6%;

დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (122,7 ათასი ლარი) და ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების (250,2 ათასი ლარი) შესყიდვა.

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსებულია 2 811,3 ათასი ლარით (მათ შორის, 2 417,2 ათასი ლარი სპეციალური ტრანსფერი), გეგმური მაჩვენებლის - 4 420,0 ათასი ლარის - 63,6%;

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: ქ. მცხეთაში ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობა; სოფ. ბიწმენდში ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა (I ეტაპი); სოფ. ნავდარაანთკარში თეძამის ხევში ნაპირსამაგრის მოწყობა; შიომღვიმის მონასტერის მიმდებარედ კლდიდან ჩამოშლილი მიწის მასის გატანა; მასალების შეძენა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად).

მიმდინარეობს სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა (II ეტაპი), ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული გზების აღდგენა სოფლებში: თეზამი, კევლიანი, ნიჩბისი; დაზიანებული სასმელი წყლის სისტემების აღდგენა სოფლებში: ზაქარო, გალავანი.

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსებულია 2 196,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 617,6 ათასი ლარის - 83,9%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“;

საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან, თოვლის და ყინვიანი ამინდების დროს სოფ. ლისის, წოდორეთის, მსხალდიდის, ნაფეტვრების, ნიჩბისის, ფრეზეთის, საგურამოს ქუჩებში დაიყარა 44 ტონა ქვიშა-მარილი;

განხორციელდა ქ. მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან 12 სხვადასხვა ტევადობის ნაგავმზიდით საყოფაცხოვრებო ნარჩენების შედროვება და გატანა 45 კმ-ზე, კასპის ნაგავსაყრელზე: ქ. მცხეთიდან და სოფ. საგურამოდან - დღეში ორჯერ, სოფ. მუხრანიდან, მისაქციელიდან და ნატახტრიდან ყოველდღიურად, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან - დღეგამოშვებით; აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან სულ გატანილ იქნა 18570 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მათ შორის, ქ. მცხეთიდან - 3950 ტონა, მცხეთია მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების სოფლებიდან 12020 ტონა, ორგანიზაციებიდან - 2600 ტონა.

საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში დაიდგა 1,1 კუბ.მ ტევადობის პლასტმასის 470 ცალი ახალი ნარჩენების კონტეინერი, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავისუფლებულია სულ 1717 ცალი 1,1 კუბ.მ ტევადობის ნარჩენების კონტეინერი, მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 257 ცალი. სოფლებში - 1310 ცალი, ორგანიზაციებში - 150 ცალი.

პროგრამის ფარგლებში სისტემატიურად, ყოველი წვისმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქ. მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენებისგან.

ყოველდღიურად ხდება ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა დაფინანსებულია 175,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 261,7 ათასი ლარის - 66,9%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 152000 კვ.მ ფართობის მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად ხდება პარკების და სკვერების, ფერდობებისა და გაზონების, მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭვა-დაფოცხვა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალბარდის გაჩეხა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 50 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისგან და გამხმარი ტოტებისგან მუხათგვერდში ცენტრალური გზიდან ჭაშნიკამდე გზის მიმდებარე ტერიტორიები და თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 400 კვ.მ ნარჩენი.

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება დაფინანსებულია 25,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 29,6 ათასი ლარის - 86,1%; საანგარიშო პერიოდში დასრულებულია დაზიანებული და დაავადებული ხეები მოჭრა-გადაბელვა;

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5 819,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 6 540,2 ათასი ლარის- 89,0%;

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“.

საანგარიშო პერიოდში ქ. მცხეთის N3, სოფ. ძეგვის და სოფ. საგურამოს საბავშვო ბაგა-ბაღებში დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაბამისად რეაბილიტაციის დასრულებამდე განხორციელდა ქ. მცხეთის N3 და სოფ. ძეგვის ბაგა-ბაღის აღსაზრდელების გადაყვანა ქ. მცხეთის N2, N4 და სოფ. ნიჩბისის ბაგა-ბაღებში, ხოლო სოფ. საგურამოს საბავშვო ბაგა-ბაღისთვის მოხდა ალტერნატიული ფართის დაქირავება სოფლის ტერიტორიაზე.

გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში დაიწყო ადრეული განათლების კურიკულუმის თამაშის დანერგვა; განხორციელდა საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალის (დირექტორები, აღმზრდელები, სპეცპედაგოგები, აღმზრდელის თანაშემწეები) გადამზადება.

სააღმზრდელო კურსი დაასრულა სასკოლო ასაკის 500 ბავშვმა. სექტემბრის თვეში დასრულდა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა რეგისტრაციის პროცესი, ამ ეტაპზე სკოლამდელ დაწესებულებებში ირიცხება 1667 აღსაზრდელი.

გაერთიანების ბაგა-ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი დაიწყო 16 სექტემბერს.

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 92,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 277,1 ათასი ლარის - 33,2%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გათბობა-ვენტილაციის მოწყობის დასრულებული სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხის ჩარიცხვა;

ქ. მცხეთაში, რკ/სადგურის დასახლებაში, ყოფილი ტურისტული ბაზის ტერიტორიაზე (ს/კ 72.07.07.592), სადაც დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, წყლის მილის გადატანა;

04 03 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსებულია - 198,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 273,0 ათასი ლარის 72,7%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. განხორციელდა ყოველდღიურად დაახლოებით 230 ბავშვის წაყვანა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათი უკან, სახლში დაბრუნება.

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა დაფინანსებულია 486,4 ათასი ლარით, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 440,9 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის 535,4 ათასი ლარის 90,8%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის 103 წარჩინებული მოსწავლის წახალისება ფულადი ჯილდოთი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (მიზნობრივი ტრანსფერი).

05 01 სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 3 338,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 4 437,7 ათასი ლარის - 75,2% , შემდეგ ქვეპროგრამებზე:

05 01 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 257,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 271,4 ათასი ლარის - 95,0 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი), სადაც ჩარიცხულია 315 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მომდინარეობდა 9 სოფელში და ქ. მცხეთაში, საფეხბურთო სეზონში სკოლის გუნდები მონაწილეობენ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის და მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში;

05 01 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 220,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 239,4 ათასი ლარის - 92,1%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია";

აკადემიის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობებში და საპრიზო ადგილები დაიკავეს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატზე, საქართველოს თასის გათამაშებაზე და აზერბაიჯანში გამართულ საერთაშორისო რეგატაში. წარმატებული სპორტსმენები შეყვანილ იქნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში;

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 400,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 432,0 ათასი ლარის - 92,6 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";

სკოლაში ფუნქციონირებს სამი ასაკობრივი ჯგუფი, ირიცხება 507 მოსწავლე, საანგარიშო პერიოდში აკადემიის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ ღონისძიებებში (42), მოიპოვეს საპრიზო ადგილები და ლიცენზიები სხვადასხვა წონით კატეგორიაში.

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 214,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 234,7 ათასი ლარი - 91,5%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა";

სკოლაში ფუნქციონირებს 17 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 2, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვონდოს - 1, შერეული ორთაბრძოლების - 1, ჭადრაკის - 1), სადაც რეგისტრირებულია 311 მოსწავლე (242 ვაჟი, 69 გოგონა) და 17 მწვრთნელ-

მასწავლებელი, სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სკოლაში ამოქმედდა ველოსპორტში გოგონების ჯგუფი, ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადა „მხიარული სტარტები“, გაიმართა ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მასობრივი სპორტული აქტივობები, გამოვლინდა 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

აღსანიშნავია ველოსპორტში მიღწეული შედეგები, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს ნაკრებში ირიცხება სკოლის 10 ველომრბოლელი.

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი" დაფინანსებულია 384,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 448,8 ათასი ლარი - 85,7%.

საანგარიშო პერიოდში, ყოველი დღის ბოლოს ხორციელდება საცურაო აუზების დეზინფექცია, ასევე, წყლის სინჯების შემოწმება ლაბორატორიულად, გაცემულია 4662 აბონემენტი. მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირებზე - 210, სოციალურად დაუცველებზე - 299, მარჩენალდაკარგულ ბენეფიციარზე - 16, მრავალშვილიანი - 1, შშმ სტატუსის მქონე ბენეფიციარზე - 5 აბონიმენტი.

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 75,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 75,0 ათასი ლარის - 100,0 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“.

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 1 786,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 736,5 ათასი ლარის - 65,3 %.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია: სოფ. წილკანში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია; სოფ. ქსოვრისში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა (ს/კ 72.01.03.487); სოფ. წეროვნში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთება და რეაბილიტაცია; სოფ. ქსოვრისში საფეხბურთო მოედნის გასახდელის გაზმომარაგება; სპორტული ინვენტარის შეძენა.

მიმდინარეობს და გრძელდება: სოფ. მუხრანში (პატარა ქანდა) მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა; ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

05 02 კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 1 737,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 436,5 ათასი ლარის - 71,3%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა დაფინანსებულია 1 341,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 605,5 ათასი ლარის - 83,6%, დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“;

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები (83): სხვადასხვა კონკურსები, შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტები, თეატრალური დადგმები, ღია გაკვეთილები. მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში საზეიმოდ გაიხსნა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდული დარბაზი; ცენტრის დავით გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა გუნდმა და ფორტეპიანოს კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის საკონცერტო დარბაზში, საქართველოს მუსიკოსთა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალში „რონდო კლასიკა“; მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“ მონაწილეობდა თურქეთში გამართულ ტრადიციულ ფესტივალ-კონკურსზე - „ეგეოსის თასი 2024“, ქ. ბათუმში, საქართველოს

ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ჩატარებულ ფოლკლორულ ფესტივალზე „კავკასია-2024“ , ანსაბლმა სოლო კონცერტი გამართა ქ. ქობულეთის ამფითეატრში; ქ. ქობულეთში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალზე „მზიანი საქართველო“ მონაწილეობა მიიღო ცენტრის თოჯინების თეატრმა;

საანგარიშო პერიოდში ხელშეწყობილია ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფები, ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შეძენილია სასცენო რეკვიზიტები.

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა დაფინანსებულია 33,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 33,0 ათასი ლარის - 100 %.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯები;

05 02 03 კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 136,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 552,1 ათასი ლარის - 24,8%, საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისთვის“ სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვა.

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 225,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 235,9 ათასი ლარი - 95,7 %. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი".

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრმა“ საწესდებო მიზნების შესაბამისად განახორციელა დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები, მიმდინარეობს მუშაობა ახალ გამოწვევებსა და აქტივობებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ურბანული დაგეგმარების და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

2024 წლის 9 თვეში მცხეთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მოემსახურა 30642 უცხოელ ტურისტს (იანვარი - 307, თებერვალი - 766, მარტი - 1204, აპრილი - 2835, მაისი - 2814, ივნისი - 5070, ივლისი - 5207, აგვისტო - 4717, სექტემბერი - 7722) უმრავლესობა ორგანიზებული ტურისტული ჯგუფებია. ტურისტები იყვნენ რუსეთიდან, ესპანეთიდან, ინდოეთიდან, ტაილანდიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და ა.შ.

მაღალი ხარისხის ვიდეო-რგოლებისა და ფოტომასალის გადასაღებად შეძენილ იქნა დრონი (საფრენი აპარატი).

06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 948,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 030,8 ათასი ლარი - 92,0%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 240,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 255,8 ათასი ლარი - 93,9 %, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 201,5 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

განხორციელდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის, ასევე, დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები, კერძოდ: ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში (C ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი) გამოკვლევა ჩაუტარდა 2844 ბენეფიციარს; დედათა და ბავშვთა დაცვის პროგრამით სწრაფი კომბინირებული ტესტებით გამოკვლევა ჩაუტარდა 26 ორსულს, გეგმიური იმუნიზაცია ჩაუტარდასხვადასხვა ასაკის 1634 ბავშვს და მოზარდს; ზედამხედველობა განხორციელდა 14 საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტზე, 34 საბავშვო ბაღზე, 24 საჯარო სკოლაზე; თამბაქოს კონტროლის ფარგლებში შემოწმდა

22 საჯარო სკოლა, 133 სავაჭრო ობიექტი, 32 სილამაზის სალონი, 48 ტრანსპორტი, 40 საჯარო დაწესებულება, 48 კაფე-რესტორანი, 22 სასტუმრო, 20 სამედიცინო დაწესებულება, 3 დარბაზი, 4 სტადიონი; გამოვლინდა 8 დარღვევა და რეაგირებისთვის გადაეცა შემოსავლების სამსახურს. ჰელმინთებზე კვლევა ჩაუტარდა 70 პირს; ჩატარდა საბონიფიკაციო სამუშაოები: ინსექტიციდით დამუშავდა (80000 კვმ ფართობი) ცხოველების სადგომები, სადარბაზოები, სარდაფები, მიტოვებული შენობები.

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება დაფინანსებულია 708,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 775,0 ათასი ლარი - 91,4%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციის ღირებულების დაფინანსება (1060 ბენეფიციარი), აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების (82 ბენეფიციარი) ფინანსური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 784,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 1 403,1 ათასი ლარის 55,9%;

საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია: ცელიაკიით დაავადებულ 5 ბენეფიციარს, ტყუპების, მესამე და მეტი შვილის შეძენაზე - 55 ბენეფიციარს, ხანძრის შედეგად დაზარალებულ 5 მოქალაქეს, დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 3 ბენეფიციარს, 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებულ 2 პირს გაეწია საკურორტო დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებული და თავშესაფრის არმქონე 2 ოჯახი ექვსი თვით ქირით იქნა გადაყვანილი; დაფინანსდა დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ტრანსპორტით მგზავრობა, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1745 გაჭირვებულ მოქალაქეს საჩუქრად გადაეცა სასურსათო კალათა, პროგრამის ფარგლებში ჟანგბადის აპარატით სარგებლობს 6 ბენეფიციარი.

06 02 02 ერთჯერადი და სოციალური დახმარება დაფინანსებულია 94,6 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის 105,0 ათასი ლარის 90,1 %; დახმარება გაეწია 724 ბენეფიციარს და ასი და მეტი წლის ასაკის 2 უხუცეს პირს.

06 02 03 ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება დაფინანსებულია 1,0 ათასი ლარით, გეგმიური მაჩვენებლის 3,0 ათასი ლარის - 33,3%;

9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 1 ვეტერანზე გაიცა ფინანსური დახმარება, ხოლო გარდაცვლილი ვეტერანის სარიტუალო მომსახურებისთვის დახმარება გაეწია 4 ოჯახს;

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება დაფინანსებულია 40,6 ათასი ლარით (24 ბენეფიციარი), გეგმური მაჩვენებლის 41,8 ათასი ლარის 97,1 %;

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა დაფინანსებულია 56,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 63,8 ათასი ლარის 88,5%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება".

საანგარიშო პერიოდში გაერთიანებამ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოში წარადგინა მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფრის (რომელიც საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გადაეცა) აღჭურვისა და თავშესაფრის ტერიტორიაზე მინი სასათბურე მეურნეობის მოწყობის 420 000 ლარის ღირებულების საპროექტო განაცხადი. ასევე, დაწყებულია საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ცენტრისთვის აშშ-ს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისის მიერ საჩუქრად გადმოცემული სასმელი წყლის ლაბორატორიის აღჭურვილობის (19 000 აშშ დოლარი) მონტაჟი.

გაერთიანების ორგანიზებით, შპს „ავერსის“ და კერძო სექტორის დაფინანსებით გადმოცემული სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტები, წნევის აპარატები და სიცხის საზომი თერმომეტრები საჩუქრად გადაეცათ მცხეთის უფასო სასადილოს მზრუნველობამოკლებულ მოსარგებლეებს.

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება დაფინანსებულია 93,8 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის 103,8 ათასი ლარის 90,3 %; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის".

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული და შშმ 38 ბენეფიციარის დღეში ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა სასადილოში.

სასადილოში ჩატარდა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა, დაინერგა “ჰასპი“-ს (HACCP) პროგრამა.

ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების" ორგანიზებით, შპს „ავერსის“ და მცხეთის „საჭაშნიკე“-ს დაფინანსებით, სასადილოს ბენეფიციარებს საჩუქრად გადაეცათ სხვადასხვა მედიკამენტები („მცხეთის ჯანდაცვის ცენტრის“ ექიმთა ჯგუფის დანიშნულებით), წნევის აპარატები და სიცხის საზომი თერმომეტრები.

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსებულია 5 895,6 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 7 195,9 ათასი ლარის - 81,9 %) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1 034,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა დაფინანსებამ შეადგინა 952,0 ათასი ლარი - 92,0%. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 713,3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 164,1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 1,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯი 67,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 5,6 ათასი ლარი;

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდა 4 935,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 6 117,9 ათასი ლარის - 80,7 %, მათ შორის, შრომის ანაზღაურება 2 960,8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1 599,4 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 24,8 ათასი ლარი, სხვა ხარჯი 74,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 275,6 ათასი ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება დაფინანსდა 8,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 43,5 ათასი ლარის - 18,8 %;

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით და ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია"-ს ბიუჯეტების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დანართებით N1 - 4.